დედაზე საყვარელი ვერავინ იქნება

muslim.ge

ირსს
გამომცემლობა

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

დედაზე ხაყირთელი ვეროიანი იჭნება

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia
muslim georgia international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

დედობა თანამედროვე სამყაროში	7
ადამიანის აღზრდის ხელოვნება-დედობა	14
დედის ამაგის გადახდა შეუძლებელია	21
მე დედა ვარ	27
გულს შეეხე	37
დედა- ადამიანებზე მზრუნველი ძვირფასი ხელი	44
დედა	49
შენ რომ მოხვალ სიცოცხლე გახანგრძლივდება	54
დედა და შვილი	57
როცა დედა გახდები, მიხვდები	61
დედის გული	66
პოეტების ენით დედის სიყვარული	70

muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დედობა თანამედროვე საუკუნეში

სემრა დემირქან

ტექნოლოგიური განვითარება სხვადასხვა აღმოჩენებისა და თაობიდან თაობაზე გადასული ცოდნის დაგროვების შედეგად განხორციელდა. ტექნიკური წინსვლა კაცობრიობის წარმოშობისთანავე დაიწყო. მეთვრამეტე საუკუნეში განხორციელებული სამრეწველო რევოლუციის შემდეგ ტექნოლოგიები მანამდელ პერიოდთან შედარებით ძალიან სწრაფად განვითარდა. უფრო მეტიც, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ ადამიანის ცხოვრება საგრძნობლად შეცვალა. აღნიშნული განვითარება დასავლეთთან ცოტათი განსხვავებით, მაგრამ მაინც ძირეულად მოქმედებს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობაზე. თანამედროვე რეალობა აკნინებს ტრადიციულ ღირებულებებს და ახალი ფორმებით გვევლინება.

ურბანიზაცია და „ცარიელი“ ღირებულებები

1950 წლიდან დაწყებული ურბანიზაცია და ქაოტური განაშენიანება დაიწყო, რამაც სხვა არასასურველ შედეგებთან ერთად ღირებულებების დაცარიელება გამოიწვია. მთიდან ქალაქში ჩასულმა ადამიანებმა იქაური ღირებულებებისა და იდეალების საპასუხო ასპარეზი ვერ ნახეს, ამიტომ ძველი და ახალი გარემოს ზეწოლის ქვეშ მოექცნენ. სწორედ ამ გაურკვევლობის მომენტში წარმოიქმნა მდგომარეობა, რომელსაც „კულტურული სიცარიელე“ ეწოდება. აღნიშნული პროცესის საწყის მიზეზად მასიური ურბანიზაცია დავასახელეთ. ახალ გარემოში მოხვედრილი ადამიანთა მასა გაუთვითცნობიერებლად კარგავს ღირებულებებს ან მისი ეს ღირებულებები ცარიელი და უსულგულო ხდება.

ამ ზოგადი პრობლემის გახსენების შემდეგ მივიდეთ კონკრეტულ საკითხამდე. თანამედროვე სამყაროში, თუ შეიძლება ასე ითქვას, დედობის ინსტიტუტმაც რყევა და ცვლილებები განიცადა. ალაინის აზრით სხვა სკოლებში განათლების მიღებამდე „გრძნობების სკოლაა“ საჭირო და ეს სკოლა ოჯახია. ამ სკოლის საფუძველი დედის მიერ შვილზე გადაცემული ღირებულებების ერთობლიობაა.

ბავშვს გრძნობების პირველ გაკვეთილს ოჯახური ცხოვრება აძლევს. დედა პირველი მასწავლებელია. გამომდინარე აქედან, მომავალი თაობების სიჯანსაღისთვის აუცილებელია დედებმა ყურადღებითა და მიზანმიმართულად იმოქმედონ. ახალგაზრდული პრობლემების კვლევებმა აჩვენა, რომ პრობლემის სათავე წინაპართა მიერ მოტანილი ღირებულებების მომავალ თაობებზე გადაცემა შეფერხებულია, რაც ახალ თაობებში პიროვნული იდენტობის განსაზღვრას ართულებს. უკანასკნელ პერიოდში დასავლური საზოგადოება აქტიურად ფიქრობს ამ პრობლემაზე. კაპიტალიზმისა და მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ ოჯახური ინსტიტუტის რღვევა და შესაბამისად დედის როლის დაკნინება გამოიწვია. ისინი ეძებენ გზებს, რათა დაიბრუნონ ეს ღირებულებები. ამის გამო მიიღეს კანონები, რომლებიც დასაქმებულ დედებს, მშობიარობის შემდეგ ხანგრძლივ დეკრეტულ შვებულებაში გასვლის უფლებას აძლევს და ასევე სამუშაო საათებიც ისეა განსაზღვრული,რომ დედებს შვილებთან ერთად ყოფნის მეტი დრო ჰქონდეთ.

დღეს მიიჩნევა, რომ მუცლად მყოფი ბავშვი უკვე იღებს გარემოსგან ინფორმაციას და სამყაროს შეცნობა დაწყებული აქვს. ასევე მიიჩნევა, რომ დღევანდელ პერიოდში ბავშვები უფრო სწრაფად ვი-

თარდებიან, ვიდრე წინა თაობებში. დღეს, ორი წლის ბავშვს ტელეფონისა და კომპიუტერის გამოყენება შეუძლია, რადგან მას დაბადებიდანვე ჰქონდა წვდომა მსგავს რამეებზე. ახალ ტექნოლოგიებთან ერთად აღზრდილი ახალი თაობები ტექნოლოგიების მიერ მოტანილ ღირებულებებს ითვისებენ და ეს იწვევს საუკუნის წინააღმდეგობას, რაც უეჭველად აისახება ჩვენს მომავალზე.

დღევანდელი დედები რთულ მდგომარეობაში არიან. ერთის მხრივ სწრაფი ურბანიზაციით გამოწვეული სტრესი, მეორეს მხრივ ახალი ტექნოლოგიების უარყოფითი ზემოქმედება, რაც საბოლოო ჯამში ღირებულებების სიცარიელეს იწვევს და მომავალი თაობა არშემდგარ პიროვნებებად, ეგოისტებად და ტრადიციის მგმობელად გვევლინებიან. შესაბამისად დედების მოვალეობა რთულია, რადგან შვილების აღზრდის დროს უკიდურესად გააზრებული და მიზანმიმართული მოქმედებაა საჭირო. შვილთან ურთიერობებში დედას აუცილებლად სჭირდება მოქნილი პოლიტიკა, რათა პრობლემის მოგვარების დროს გრძნობებისა და ლოგიკურობის ზომიერად გამოყენება შეძლოს. ამ დროს სერიოზულ პრობლემად რჩება დედების არასათანადო და არასაკმარისი განათლება, რაც შვილების ინტერესებსა და დედების

დამოკიდებულებას შორის უსკრულს უფრო აღრმავებს.

თანამედროვეობა და დედობა

ისეთი ოჯახური გარემოს შექმნა, სადაც სიყვარული, პატივისცემა, შემწყნარებლობა, ურთიერთგაგება, თანადგომა, სამართლიანობა და მსგავსი ღირებულებებია დამკვიდრებული, უპირველეს ყოვლისა დედის და ზოგადად მეურვეების ვალდებულებაა. გახშირებულია განქორწინებები და ამის პარალელურად მცირდება ქორწინების რიცხვი. ამის მიზეზი ისაა, რომ აღზრდის პროცესში მეურვეები შვილებს საკმარის პასუხისმგებლობას ვერ უნვითარებენ. დღეს ქალების დასაქმების საშუალო მაჩვენებელი იზრდება, რაც ოფახში როლების გადანაწილების ცვლილებას იწვევს. უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვი უპასუხისმგებლო და ეგოისტი იზრდება. ფსიქოლოგები ადასტურებენ, რომ შეუზღუდავი თავისუფლებით პირობებში გაზრდილი ბავშვები გარდატეხის ასაკში დედების მიმართ ძალადობას ავლენენ. გარდა ამისა, თანამედროვე ცხოვრება, საბოლოო ჯამში, დედებში დედობის გრძნობასა და შესაბამისად პასუხისმგებლობას ასუსტებს. ისინი მოდას, თავიანთ სურვილებს არი-

ან აყოლილნი და შვილებს ნაკლებ დროს უთმობენ. თუ დედა შვილებთან საკმარის დროს გაატარებს და მათთან ურთიერთობას ჯეროვნად გამოიყენებს მათი ძირითადი პიროვნული ხაზი სწორად განვითარდება. დედობის გრძნობის შესუსტება აუცილებლად გამოიწვევს ბავშვის არასასურველი მიმართულებით განვითარებას. თარჰანი, ცნობილი ფსიქოლოგი ამბობს, რომ ქალის თავისუფლების ზრდა, დედობის გრძნობას ასუსტებს.

„ჩვენ ვიყავით ის იღბლიანი თაობა, ვისაც ბებიები შუამავლისა და მისი მეგობრების ცხოვრებაზე გვიყვებოდნენ და მათ ეს ამბები დეტალურად იცოდნენ. ისინი განსწავლული ადამიანები იყვნენ. ისინი ზეპირმეტყველების კულტურას იყვნენ ნაზიარები. ნაწერისგან განსხვავებით, ისინი თავინთ ფიქრებს და დამოკიდებულებებს ზეპირად გადმოსცემდნენ.“

ამრიგად, სასურველია ბავშვები ბებიებისგან დღესაც ისმენდნენ წარსულის ამბებს. სასურველია ბავშვები ნათესავებთან სტუმრად დაგვყავდეს, რათა კულტურული ღირებულებები გაითავისონ. თანამედროვე სამყაროში ცვლილებები წამზე უსწრაფესად ხდება. ასეთი ტემპის პირობებში ბავშვს გონებაში კვალის დატოვება უკიდურესად რთულია და ეს, უპირველს ყოვ-

ლისა,დედების მოვალეობაა. ამ სიტყვიერი, წერილობითი და ციფრული განვითარების ეპოქაში საზოგადოების მენტალური რყევები დედებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზეც მოქედებს. ყველა ამქვეყნიური სიახლე ფიქრის „კონტროლის“ გარეშე მიეწოდება ბავშვებს, ამიტომ მშობლების ამ საკითხზე დაფიქრება ძალიან მნიშვნელოვანია.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ადამიანის აღზრდის ხელოვნება- დედობა

პროფესორი ალი აქფინარი

უპირველეს ყოვლისა შუამავლები და შემდეგ სხვა მრავალი ცნობილი სწავლული ადამიანის აღზრდის ხელოვნებას ფლობდნენ. დღეისათვის, განსაკუთრებით ფემინისტების გავლენით, თანამედროვე ადამიანი დედობას მარტივად უყურებს, მაგრამ დედობა ადამიანის აღზრდის ხელოვნებაა. დღეს იმ დედებს, რომლებიც შვილების აღზრდით არიან დაკავებული, ამცირებენ და ამბობენ, რომ ისინი დაუსაქმებელი არიან. არადა ყველაზე მნიშნელოვან და სასარგებლო საქმეს სწორედ ისინი აკეთებენ.

დედობის ინსტიტუტს ღირსეული ფასი ისლამმა შესძინა. ყურანის აიათებსა და შუამავლის ჰადისებში დედის როლსა და დედობის მნიშვნელობაზე მრავალი განმარტებაა მოცემული. არაბულ ენაში სიტყვა დედა არის „უმმ“. ყურანის პირველი სურა ფათიჰა „წიგნის დედა“-დ იწო-

დება, ანუ „უმმულ ქითაბ“. მექასაც ეძახიან „უმმულ ქურა“, ქალაქების დედა და ა.შ.

ამ სიტყვის ფუძისგანაა ნაწარმოები ისეთი სიტყვები, როგორიცაა „უმმაჰ“ და „იმამ“. შუამავალს უწოდებდნენ „უმმი“, რაც ახალდაბადებულივით უცოდველს ნიშნავს. ჩვენც ამ პლანეტას, რომელზეც ვცხოვრობთ დედამიწას ვეძახით.

ყურანში მშობლების შესახებ მრავალი აიათია მოცემული. წარმოგიდგენთ რამოდენიმე მათგანს:

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!

და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი! (ისრა 23-24)

„და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები. ატარა დედამ თავისმა, გაჭირვებაგაჭირვებით და მისი ძუძუდან მოწყვეტა ორ წლამდე გრძელდება. მე შემწირე მად-

ლობა და შენს მშობლებს, რამეთუ ჩემთანაა მოსაქციელი!

და თუ ისინი დაგაძალებენ, რომ თანაზიარი გამიხადო ის, რისი ცოდნაც შენ არ გაქვს, არ დაემორჩილო და სიკეთე გამოიჩინე ამქვეყნიურ ცხოვრებაში მათთვის! და მიჰყევი იმათ გზას, ვინც ჩემსკენ მოისწრაფვის. ბოლოს კი ჩემთანაა თქვენი მოსაქციელი. მაშინ გამცნობ თქვენ იმას, რასაც სჩადიოდით!“ (ლოქმან 14-15)

აღნიშნულ აიათებს თუ დავაკვირდებით ღმერთი მისდამი თაყვანისცემისა და ღვთისმსახურების შემდეგ, მაშინვე მშობლების მიმართ კეთილად მოპყრობას ბრძანებს. ასეთი რიგითობა ნიშნავს, რომ მშობლებთან ურთიერთობა და მათთან კარგი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე აიათი გვკრძალავს მშობლებზე უხეშად დალაპარაკებას. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ისინი, პატივი ვცეთ და რაც მთავარია, ღმერთს მათთვის უნდა ვევედრებოდეთ. ურწმუნოც რომ იყონ, მშობლებთან კარგი ურთიერთობა უნდა შევინარჩუნოთ. ყოველი ნამაზის ბოლოს ღმერთს შემდეგნაირად ვევედრებით:

„ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება!“ (იბრაჰიმ 41)

შუამავლის დედისადმი სიყვარული

როგორც მოგეხსენებათ, შუამავალს დაბადებამდე გარდაეცვალა მამა, ხოლო დედა პატარაობისას დაეღუპა. ის ობლობაში გაიზარდა და ობლობის ტვირთი ყველანაირად გამოსცადა. შუამავალი მშობლებზე, მათდამი სიყვარულსა და პატივისცემაზე ასე ამბობდა: „თუ ვინმე, რომლის ერთი ან ორივე მშობელი მოხუცებულობამდე მიაღწევს და მათთვის საჭირო პატივისცემასა და ყურადღებას არ გამოხატავს და ამით სამოთხეს ვერ დაიმსახურებს, დაე, ცხვირით მიწაზე იხოხოს“.

მუავიე ბინ ჯაჰიმეს საღვთო ომში მონაწილეობის მიღება სურდა და შუამავალს ნებართვა სთხოვა. შუამავალმა ჰკითხა, დედა თუ გყავს ცოცხალიო და შემდეგ უბრძანა: „ყურადღება მიაქციე ჩემს სიტყვებს! დედას ფერხთით მიუჯექი, რადგან სამოთხე იქაა. დედას გვერდიდან არ მოშორდე, რადგან სამოთხე მის ფეხქვეშაა“. (იბნ მაჯე, ჯიჰად, 6)

შუამავალი ამგვარ რჩევებს გვაძლევდა და თვითონაც ამის საუკეთესო მაგალითი იყო. ჰუდეიბიეში მამავალმა, გზად სოფელ ებვაში შეიარა, დედის საფლავი მოინახულა, მიწა ხელით მოასწორა და იტირა. რო-

გორ მონატრებული იყო საყვარელ დედას და როგორი მგრძნობიარე ადამიანი იყო შუამავალი!

ერთხელაც სამი კაცი გამოქვაბულს შეჰფარებია. ამასობაში მთიდან წამოსული ქვა გამოქვაბულის შესასვლელში დაცემულა და ამოუხერგავს. იმ ადამიანების გადარჩენა მათმა კეთილმა საქმეებმა გამოიწვია. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი მშობლებს დიდად პატივს სცემდა და ემსახურებოდა, ამიტომ ღმერთმა ისინი განსაცდელიგან იხსნა.

შუამავალი რომ დაიბადა, პირველად ებუ ლეჰების მსახურმა, სუვეიბემ მოაწოვა ძუძუ. შუამავალს სუვეიბე არასოდეს დავიწყებია. მექაში ყოფნისას ხშირად მოინახულებდა ხოლმე და საჩუქრებით პატივს სცემდა. ჰიჯრის შემდეგ მედინადან კი ტანსაცმელს უგზავნიდა. მექს გათავისუფლების დროს მისი ვაჟი მოიკითხა, მაგრამ უთხრეს, რომ ის დედაზე ადრე დაიღუპა.

შუამავალს ძალიან უყვარდა მისი ძიძა, ჰალიმე. მას მეორე დედას ეძახდა. როცა მონახულებდა მოსასხამს დაუფენდა, ზედ დასვამდა და თუ რამ სურვილი ჰქონდა, მაშინვე უსრულებდა. როდესაც შუამავალმა ჰატიჯეზე იქორწინა ჰალიმე მექაში

ჩავიდა და შუამავალი მოინახულა. შუამავალმა სიხარულით უმასპინძლა, კარგად მიიღო და წასვლისას ორმოცი ცხვარი და ერთი აქლემი საჩუქრად გააყოლა.

მექას გათავისუფლების დროს შუამავალმა ჰალიმეს და დაინახა და მაშინვე ჰალიმე მოიკითხა. გარდაიცვალაო, უთხრა ჰალიმეს დამ. შუამავალმა ძალიან განიცადა და ატირდა. შემდეგ ბრძანა, ჰალიმეს დისთვის 200 დირჰემი ფული მიეცათ.

მოკლედ, დედობა ადამიანის აღზრდის ხელოვნებაა. დედობა მამობაზე სულ მცირე სამი ნაბიჯით წინაა. ის ანგელოზია, რომელიც მუცლადყოფნის, დაბადების და შემდგომში მთელი ცხოვრება ზრუნავს ჩვენზე და როცა ის არ არის უეცარი საფრთხისას მაინც „დედა“-ო ვიძახით და მის კალთას ვეფარებით. ჩვენს საზოგადოებაში მრავლად არიან დედები, რომლებიც ტირიან. ღმერთმა ნუ ქნას მათგანი ვიყოთ, ვინც დედას ატირებს. ჩვენ წელიწადში რამოდენიმე დღე კი არა, მთელი ცხოვრება მათთან უნდა გავატაროთ, გვიყვარდეს, პატივი ვცეთ, ყურადღება არ მოვაკლოთ და სიკვდილის შემდეგაც მათთვის ვედრება არ უნდა დავიშუროთ. როგორც შუამავალი ბრძანებდა, სამოთხე მათ ფერხთითაა. სამოთხისკენ მიმავალი გზა მათ

კმაყოფილებაზე გადის.როდესაც მშობლები გვყავს, განსაკუთრებით კარგად უნდა მოვექცეთ, რათა ჩვენმა შვილებმა ეს დაინახონ და კარგი მაგალითი მივცეთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მშობლების ამაგი იმდენად დიდია, რომ მოხუცთა თავშესაფარში მიბარებით და მერე თუნდაც დროდადრო მონახულებით ამ ამაგს ვერ დავაფასებთ. ეს არის უსაზღვრო სიყვარულისა და ამაგის ზღვა.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

დედის ამაგის გადახდა შეუძლებელია

პროფ. მეჰმედ სოისალდი

ღმერთმა გააჩინა ადამიანი და მიანიჭა გონება,რითიც გაჩენილთა შორის გამოარჩია. რადგანაც ადამიანი სხვა არსებებთან შედარებით მაღალ საფეხურზე იქნა გაჩენილი, ამას თავისი მიზანი ჰქონდა. სწორედ ეს მიზანი უნდა იცოდეს ადამიანმა და ამ მიზნის შესაბამისად იცხოვროს.

ადამიანის სამყაროში ამ ფორმით მოვლინების მიზანი გამჩენის შეცნობა, მისი რწმენა და თაყვანისცემაა, რადგანაც ღმერთი ბრძანებს:

„და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები,თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის.“ (ზარიათ 56)

ესეიგი,ადამიანის გაჩენის მიზანი ღმერთის ცნობა,მისდამი რწმენა და თაყვანისცემაა. ყველა შუამავალი ამას ქადაგებდა და ამ საფუძვლის ირგვლივ ადამიანების გაერთანებისთვის იბრძოდა.

ღვთისადმი რწმენისა და თაყვანისცემის შემდეგ,ადამიანმა სხვა არსებების მიმართ არსებული მოვალეობები და პასუხისმგებლობები უნდა შეასრულოს. სხვა არსებებიდან ადამიანისთვის ყველაზე ახლო და მასზე ყველაზე დიდი ამაგის მქონე არიან მშობლები. ღმერთმა მათი საშუალებით მოგვცა სიცოცხლე.

ღმერთი მშობლების მიმართ პატივისცემისკენ მოგვიწოდებს:

„და ვუანდერძეთ ადამიანს სიკეთე მშობლებლის მიმართ. ატარა დედამ თავისმა გაჭირვება-გაჭირვებით, მოავლინა ქვეყანას ტანჯვით, ხოლო ფეხმძიმობა და ძუძუდან მოშორება ოცდაათ თვეს გრძელდება. ბოლოს როცა მიაღწევს სრულწლოვანებას და შეიქმნება ორმოცი წლის, იტყვის: „ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მადლიერი ვიყო იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვჰქმნა კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და მომმადლე სიკეთე ჩემს შთამომავლობაში. უეჭველად, შენ გთხოვ შენდობას და უეჭველად, მე ერთ-ერთი მუსლიმთაგანი ვარ!“ (აჰქაფ 15)

ადამიანი მშობლებთან პატივისცემითა და მოწოწებით უნდა იქცეოდეს. უხეში სიტყვაც არ უნდა უთხრას და გული არ ატკინოს. მათთან ურთიერთბაში სახემდი-

მარი და თავაზიანი უნდა იყოს. მშობლებმა ხომ დიდი ამაგითა და სიყვარულით გაგვზარდეს, ჩვენც სიყვარულითა და პატივისცემით უნდა დავუბრუნოთ ამაგი და მოხუცებულობაში მოთმინებითა და მზრუნველობით მოვეპყროთ.

შუამავალიც გვასწავლიდა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დედა და დედისადმი სიყვარული. სამოთხე დედის ფერხთითაა, ბრძანებდა შუამავალი და ამით მიგვანიშნებდა, რომ სამოთხისკენ მიმავალი გზა, დედისადმი პატივისცემაზე გადიოდა.

დედისადმი სიყვარული ყველა სიყვარულზე ლამაზია. დედა ის ადამიანია, რომელიც სიყვარულს, დაფასებას, პატივისცემასა და ყურადღებას ყველაზე მეტად იმსახურებს. დედა ის ადამიანია, რომელსაც ყველაზე უანგაროდ ვუყვარვართ. ის ყოველთვის გასცემს და სამაგიეროს არასოდეს ითხოვს.

ისლამის მიხედვით დედა გამორჩეულ პატივისცემას იმსახურებს, რაც შემდეგი ჰადისით დასტურდება:

ერთხელ შუამავალთან მისი მეგობარ-თაგანი მივიდა და ჰკითხა, თუ ვინ იმსახურებდა ყველაზე კარგად მოპყრობას. დედა, უპასუხა შუამავალმა. შემდეგ ვინ იმსახურებსო, ჰკითხა ისევ მოსულმა. ისევ დედა,

უპასუხა შუამავალმა. და შემდეგ? -ისევ ჰკითხა კაცმა. ისევ დედაო, -უპასუხა შუამავალმა. და მეოთხედ ვინ იმსახურებსო, ჰკითხა მოსულმა.

-ამის შემდეგ, მამა. ბრძანა შუამავალმა.

შუამავლის ამ ჰადისიდან ჩანს, რომ დედის ამაგი სამჯერ მეტია, ვიდრე მამის. დედა ცხრა თვე მუცლით ატარებს ბავშვს, მერე ტკივილითა და წვალებით აჩენს, მერე ორ წლამდე ძუძუთი კვებავს და მთელი ცხოვრება ზრუნავს. ამ პროცესში დედა საკუთარ თავზე იკლებს და შვილებს უვლის. ადამიანი ყველზე ნელა ვითარდება და ყველაზე ნელა აღწევს ზრდასრულობის ასაკს. დედამ რომ არ მიხედოს, მისი გადარჩენა და ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება.

ნათქვამია, დედის ამაგი იმდენად დიდია, რომ შვილმა რომ ზურგზე შესვას და ჰაჯზე წაიყვანოს, მის ამაგს მაინც ვერ მოიხდისო. დედის ამაგის შესახებ ერთ-ერთ ეპიზოდს შემოგთავაზებთ, რომელიც „ბედნიერების ხანაში“ მოხდა.

შუამავლის ცხოვრების პერიოდში ერთ-ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად ალქამე, ძალიან ღრმად მორწმუნე იყო. ის მუდმივად თაყვანისცემაში ატარებდა დროს, ზამთარ-ზაფხულ მარხულობდა და ღამეებს

ლოცვაში ატარებდა. ერთ დღეს ამ ახალგაზრდას უბედურება ეწვია და ენა დაება. ამბავი შუამავალს გაგგებინეს. შუამავალმა ალი და ამმარ ბინ იასირი გაგზავნა. ისინი შეეცადნენ შაჰადა მაინც ეთქმევინებინათ ალქამისთვის, მაგრამ ვერაფერს ამბობდა. ალიმ ბილალი ჰაბეში გაგზავნა შუამავალთან და სიტუაცია გააგებინა.

- ალქამეს მშობლები ჰყავს? - იკითხა შუამავალმა.

- მხოლოდ მოხუცი დედა ჰყავს.

- ალქამეს დედა მომიყვანეთ. -ბრძანა შუამავალმა.

როდესაც ალქამეს დედა მოიყვანეს შამავალმა ჰკითხა, თუ როგორი შვილი იყო ალქამე. მოხუცმა უპასუხა, რომ ის ძალიან კარგი იყო, მორწმუნე, დროს ღვთისმსახურებაში ატარებდა, მაგრამ მე მისგან კმაყოფილი არ ვარო, თქვა ბოლოს.

მისი ენის დაბმა ამის გამოა. უნდა მიუტევო და თქვა რომ შენი ამაგი მასზე ალალი იყოს და ენა გაეხსნებაო, ბრძანა შუამავალმა.

მოხუცმა იუარა, მან ისეთი რამ ჩაიდინა ჩემს ამაგს ალალს არ ვუზამო.

შუამავლმა ბილალს უბრძანა შეშა შეეგროვებინათ და ცეცხლი დაენთოთ. რად-

გან ალქამეს დედა კმაყოფილი არ ჰყავს მოიყვანეთ და უნდა დავწვათო.

მოხუცი გაოცდა. ნუთუ ჩემს შვილს ჩემს თვალწინ დაწვავთ, ამას როგორ უნდა გავუძლოო, შეშფოთდა ის.

მაშინ შუამავალმა უბრძანა: ჯოჯოხეთის ცეცხლი ამქვეყნიურ ცეცხლზე გაცილებით მწველია. თუ შენ მისგან კმაყოფილი არ იქნები მისი არცერთი ღვთისმსახურება მიღებული არ იქნება და ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვება.

მოხუცი დაფიქრდა, შვილი დალოცა და თქვა, რომ მისგან კმაყოფილი იყო. სახლში რომ მივიდა ალქამე უკვე ლაპარაკობდა. ალქამე იმავე დღესვე გარდაიცვალა. მიცვალებულის ნამაზს შუამავალი წარუძღვა და დაკრძალეს.

ჩვენი სარწმუნოება მშობლების მიმართ მზრუველობას და კეთილად მოქცევას გვავალდებულებს, რათა მათი გულწრფელი ლოცვა დავიმსახუროთ. მათთვის გაკეთებული სიკეთე ღმერთის კმაყოფილების მოპოვებაში დაგვეხმარება.

რა ბედნიერები არიან ისინი, ვინც მშობლებს პატივისცემასა და სიყვარულს არ აკლებს და მათგან დალოცვას იმსახურებს. ასეთები ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერები იქნებიან.

მე დედა ვარ

რაჰიმე ბედერ შენ

დედობა ყველაზე წმინდა მოვალეობაა, თუმცა ამავდროულად ყველაზე რთული საქმეა. დედა პირველი მასწავლებელია, რომელიც ბავშვის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს და მის პიროვნულ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეაქვს. შესაბამისად, დედებს საზოგადოების ჩამოყალიბებაშიც მნიშნელოვანი როლი აკისრიათ. ასე რომ, ოჯახი პირველი სკოლაა, ხოლო დედა პირველი მასწავლებელი.

დედობა დიდი პასუხისმგებლობაა. დედა სიყვარულის, ამაგის, თავგანწირვისა და უანგარობის სიმბოლოა. საზოგადოებრივი თვალსაზრისით კი დედობა არის სტატუსი, რომელიც სიყვარულს, პატივისცემას და ყველაფერს კარგს იმსახურებს. დედებმა იციან ეს და ამიტომ უადვილდებათ ისეთი რთული საქმის შესრულება, როგორიც ბავშვის მოვლა და აღზრდაა.

არცერთ სხვა ახალშობილ ცოცხალ არსებას არ სჭირდება იმდენად მზრუნ-ველობა და დაცვა, როგორც ახალშობილ ბავშვს. მუცლად მყოფი ბავშვი გრძნობს დედის ტემპერატურას, სიყვარულს, ემო-ციებს და სხვა. დაბადების შემდეგ დე-დასთან შეხება, მასთან კონტაქტი, მისგან მომდინარე სითბოსა და მზრუნველობის შეგრძნება ბავშვისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია. შესაბამისად დედობას ბევრი რამ სჭირდება; სიყვარული, შრომა, მოთმინება, თავდადება, ცოდნა, განათლე-ბა და ა.შ. გარდა ამისა დედა უნდა იყოს ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული და დედობისთვის მზადმყოფი.

უკანასკნელი კვლევებით დადგინდა, რომ ორსულობის ბოლო თვეებში ბავშის მგრძნობელობა გააქტიურებულია და ის გრძნობს უყვართ თუ არა, ან სურთ თუ არა მისი გაჩენა. ჩვენი გონება აზრებს იმახსოვრებს, ასეა მუცლადმყოფი ბავშვის გონებაც, ის გრძნობებს იმახსოვრებს. და-ბადების შემდეგაც ასე გრძელდება.ბავშვი გრძნობს უყვართ თუ არა და ეს მის გო-ნებაში სისტემატიურად იწერება. ბავშვი ერთ წლამდე ვერ ლაპარაკობს,მაგრამ რაც ესმის ყველაფერს „იწერს“. ახალდაბადე-ბული ბავშვი საკუთარ თავს დედის ნაწი-ლად აღიქვამს. ის დედას ყველაზე ახლო არსებად გრძნობს. სხვადასხვა გრძნობები

და განცდები მასში თანდათან იკიდებს ფეხს. ამ პერიოდში დედისგან მომდინარე მზრუნველობა, სითბო და სიყვარული ბავშვის განვითარებისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია.

ოჯახში დედის ყველაზე მთავარი როლი და პასუხისმგებლობა ბავშვის ცხოვრებისათვის მომზადება, მისი გამოკვება და განათლებაზე ყურადღების მიქცევაა. დედა-შვილს შორის ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულებაა. ბავშვი დედასთან ურთიერთობის ეცნობა გარე სამყაროს და წარმოდგენებს იქმნის. დედა შვილს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ასწავლის. ასევე ბავშვი დედის დახმარებით ეცნობა სხვადასხვა სიტუაციებს სწავლობს საკუთარ თავს. დედა ბავშვის უპირველესი და სანდო თავშესაფარია. მოკლედ ბავშვისთვის დედა უპირველესი მეგზურია.

ბავშვი დედისგან სწავლობს მეტყველებასა და სხვებთან კომუნიკაციას. პირველი ოთხი წელი ბავშვის პიროვნული და ემოციური განვითარებისთვის, დედასთან ურთიერთობა, ძალიან მნიშნელოვანია, რადგან დედა ამ დროს ყველაზე იოლი და სანდო თავშესაფარია, რათა ბავშვმა ამ ასაკში უსაფრთხოდ ყოფნის მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ამ ასაკში დე-

და მოშორებული ბავშვი ჭირვეულობას იწყებს და პანიკურად ტირის. ყოფილა შემთხვევები, როცა ასე ატირებულ ბავშვს დედის რომელიმე ნივთს ან ტანსაცმელს აძლევენ და ბავშვი ამითაც ჩუმდება. ბავშვი უმალ დედაზე ხდება დამოკიდებული, თუმცა იგივენაირად ვინც იზრუნებს მასზე და სიახლოვეს იგრძნობს, მასაც შეეჩვევა.

ბავშვი 5-6 წლამდე სრულიად დედაზეა დამოკიდებული და მისი პიროვნება ამ დამოკიდებულების მიხედვით ვითარდება. სასურველია დასაქმებულმა დედამ ამის შემდეგ გააგრძელოს სამსახურში მუშაობა, თუმცა ამ ტიპის ხანგრძლივი შვებულება ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში არ გვხვდება. ბავშვს ამ დროს უკვე რეალობის აღქმის უნარი უვითარდება. სასურველია დასაქმებულ დედებს, სულ მცირე, სამუშაოს მოქნილი გრაფიკი მაინც ჰქონდეთ. ეს მომავალი თაობების სრულფასოვნად აღზრდისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ამის შემდეგ დედამ ბავშვის პიროვნულ განვითარებას უნდა გაეცნოს. უპირველეს ყოვლისა, დედამ ისეთი უნდა მიიღოს შვილი, როგორიც არის და აღიაროს, რომ ის მისგან დამოუკიდებელი პიროვნებაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვის არცერთ ქცევაში არ ჩაერიოს და სრულად ნებაზე მიუშვას. პირიქით, დედამ უნდა აკონტრო-

ლოს ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება და ეს ისე გააკეთოს, რომ ბავშვი არ დაძაბოს. დედამ ყოველთვის უნდა იცოდეს რა სჭირდება თავის შვილს. ამ პროცესში ბავშვს საშუალება უნდა ჰქონდეს აღმოაჩინოს საკუთარი სამყარო და დედამ მასთან ურთიერთობაში სიყვარული, როგორც შანტაჟის იარაღი, არ უნდა გამოიყენოს. ამ ყველაფერთან ერთად, დედობა გულისხმობს ასწავლოს ბავშვს პრობლემებთან გამკლავება და რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევა.

დედა ღირებულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადამცმია. ის ღირებულებების მიხედვით უნდა ცხოვრობდეს, რაც ბავშვისთვის მაგალითი იქნება. დედა ყოველ ფეხის ნაბიჯს უნდა აკონტროლებდეს და გეგმაზომიერად დგამდეს. ამ ასაკის ბავშვებისთვის, განსაკუთრებით კი გოგონებისთვის დედა ყველაზე ეფექტური მაგალითია.

ჩვენს საზოგადოებაში დედა აღიქმება როგორც მომთმენი, მოსიყვარულე, სითბოსა და ამაგის გამცემი ადამიანი, რომელიც არასოდეს ფიქრობს საკუთარ თავზე, რომელიც მხოლოდ შვილებსა და სხვებზე ზრუნავს, რომელსაც შეუძლია ბავშვების აღზრდა, ყველა საგნის სწავლება, ყველა-

ფერი იცის და ყველაფერს მისგან მოელიან. არადა ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. დედობის მოვალეობის შესრულებისას აუცილებელია დედა საკუთარ თავზეც ფიქრობდეს, ცხოვრებისგან სიამოვნებას იღებდეს და ბედნიერი იყოს, რადგან ბედნიერი დედები ბედნიერ შვილებს გაზრდიან. ამიტომ დედამ საკუთარ თავსაც უნდა დაუთმოს დრო, საკუთარი თავიც დააფასოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ბავშვის აღზრდის პროცესში დედის ზოგადი დამოკიდებულება ცხოვრებაზე რეალობის შესაბამისი უნდა იყოს. თუ დედამ იცის ის ფსიქო-სოციალური გარემო, რაშიც მისი შვილი იმყოფება და ცნობს ამ გარემოს თვისებებს, მას ბავშვთან სწორი კომუნიკაცია არ გაუჭირდება. ბავშვის აღზრდისას მისი ზედმეტად დაცვა სასურველი არ არის. ის უნდა მიეჩვიოს პრობლემებზე გამკლავებას და იმ რეალობაზე თვალის გასწორებას, რაც მის ასაკში მყოფი ბავშვისთვის ზედმეტად რთული არ იქნება. ამ დროს ბავშვი თავს მნიშვნელოვნად ჩათვლის და თვითშეფასება აუმაღლდება. ბავშვი ამ დროს ფიქრობს: „დედა მნიშვნელოვან რაღაცაებს მიზიარებს, ესე იგი მეც მნიშვნელოვანი ვარ და ჩემი აზრი მნიშვნელოვანია“.

დედა დასაქმებული იქნება თუ არა, ამის მიუხედავად ბავშვთან გატარებული დრო ხარისხიანი უნდა იყოს და შედეგზე ორიენტირებული. დროის შინაარსიანად გატარება ყველა ურთიერთობაში მნიშვნელოვანია,მაგრამ დედა-შვილს შორის -განსაკუთრებით. ამ დროს დედასა და შვილს შორის გრძნობების გაცვლა ხდება და ბავშვი ბევრს რამეს დედის რეაქციიდან გამომდინარე სწავლობს.

დღევადელ ცვალებად სამყაროში, ეპოქის მოტანილი ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფლებისათვის ქალის როლიც შეცვლილია, რადგან ის უფრო მეტადაა ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში,რომლის პარალელურად დედობის ფუნქციის შესრულება რთულდება. ტრადიციულად ოჯახში მამა მიიჩნეოდა ოჯახის უფროსად და ასევე შემომტანად და შესაბამისად დედას ბავშვებზე ზრუნვა და საოჯახო საქმეების კეთება ევალებოდა. ურბანიზაციამ და ინდუსტრიულმა განვითარებამ ოჯახური მოწყობის სტანდარტული სახეც შეცავალა და ოჯახში ქალის და კაცის ტრადიციული როლები შეიცვალა. ხშირია შემთხვევები,როდესაც ოჯახში ქალია დასაქმებული და ბავშვების მოვლა და საოჯახო საქმეებზე მიხედვა მამაკაცს უწევს.

დედასა და შვილს შორის ურთიერთობისას, გარდა სიყვარულისა, საჭიროა ნდობა. დედა ავტორიტეტი უნდა იყოს. ეს ავტორიტეტი სიყვარულსა და პატივისცემას უნდა მოიცავდეს. ბავშვი ავტორიტეტების აღიარებას და წესების დაცვას პირველ რიგში დედისგან სწავლობს.

ბავშვი გარემოს და მოვლენებს დედის მიერ ნაჩვენები ფორმით აღიქვამს და მისი წარმოდგენები შესაბამისი ფორმით ყალიბდება. ბავშვი სწავლობს გარემოს და ეს პროცესი დედის მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ ხდება. ბავშვი დედას აკვირდება და სწავლობს მის რეაქციებს სხვადასხვა სიტუაციებში. ამრიგად, ბავშვი სამყაროს ისეთს სწავლობს და აღიქვამს, როგორსაც დედა ასწავლის.

დედა ასევე ვალდებულია ბავშვების სქესობრივი იდენტობა გაითვალისწინოს და სათანადოდ მოიქცეს. გოგონასთვის დედა პირველი მაგალითია, ხოლო ვაჟისთვის დედა პირველი ქალია, რომლის მიმართ სწორი დამოკიდებულება და მისი დაფასება უნდა ისწავლოს. დედა ქალიშვილს ქალურ ცხოვრებასა და პირობებს შეასწავლის. დედა შვილს ყველანაირი გარე საფრთეებისგან იცავს, რის გამოც ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს და

დედას ეკედლება. ამიტომაა, რომ დედის გარეშე დარჩენილი ბავშვები დეპრესიაში ვარდებიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გოგონებსითვის დედა საუკეთესო მაგალითია და მას ბაძავენ, ხოლო ვაჟები ხვდებიან, რომ ისინი განსხვავებულები არიან და მისაბაძად მამას ირჩევენ. ამ მხრივაც დედას განსაკუთრებული როლი აკისრია.

დედა თავისი სისტემატიური მგრძნობიარე დამოკიდებულებით, რომელთანაც გაწონაწორებულია ავტორიტეტის სტატუსიც, შვილებს პასუხისმგებლობას უნერგავს და ასწავლის თუ როგორი უნდა იყონ მომავალში და რა როლები უნდა იტვირთონ. საოჯახო საქმეებში ჩართვა კი ბავშვებს სწრაფი განვითარების საშუალებას აძლევს. ისინი უფროსების როლს მალე ირგებენ და ცდილობენ მათსავით მოიქცნენ. ეს არის პირველი საფეხური მათი სამომავლო როლისთვის, ოჯახში იქნება ის თუ საზოგადოებაში.

დღეს, ასეთი სწრაფი განვითარების პირობებში, ბუნებრივია დედებს უჭირთ დედობის როლის სრულფასოვნად შესრულება. ამ მნიშვნელოვანი როლის სრულყოფილად შესრულებისა და ბავშვთა აღზ-

რდასთან დაკავშირებული პრობლემების მინიმუმამდე დასაყვანად, საჭიროა თავად მშობლებს ჰქონდეთ კარგი განათლება მიღებული.

საბოლოო ჯამში უნდა დავასკვნათ, რომ ამ პერიოდშ, როცა ოჯახური ინსტიტუტი სუსტდება და საკომუნიკაციო საშუალებები თავბრუდამხვევი სიჩქარით ვითარდება, დედის როლი და ვალდებულება უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. დედებმა უნდა შეძლონ და ბავშვებს აარიდონ ის შესაძლო ზიანი, რაც თანამეროვეობას მოაქვს. მათ უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ცოდნა და გააზრებულად უნდა იმოქმედონ. ამისათვის კი ისევ და ისევ განათლებაა საჭირო, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა გრძელდებოდეს. მხოლოდ ასე შეიძლება მოსიყვარულე, მორწმუნე, შემწყნარებელი, თავაზიანი, მაღალი ღირებულებების მქონე, მაღალი თვითშეფასების, მშვიდობის მოყვარე და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნებების აღზრდა.

გულს შეეხე

აბდულბაქი იშჯან

ამ გაზაფხულის საღამოს მთელი ჩემი არსება ისევ წარმოუდგენელმა ნაღველმა მოიცვა.

ამ ნაღველის მახვილი ხაზები ყოველ დღე უფრო და უფრო ეტყობა ჩემს სახეს და ამავდროულად საიდანღაც შემორჩენილი ღიმილი ტუჩების კუთხეებში შეყუჟულა. ზოგჯერ ჭამის დროს ვხვდებით, რომ დავბერდით... კოვზის პირთან მიტანა ძნელდება და საჭმელი გულისპირზე გვეღვრება. ან კიდევ კიბეზე ასვლისას მუხლები გვიკანკალებს და ვეძებთ რაიმეს, რომ მოვეჭიდოთ. ან მაშინ ვხვდებით სიბერეს, როცა საუბრის დროს სიტყვები გვეკარგება და ადამიანები გველოდებიან, რას ვიტყვით.

წლები ძალიან სწრაფად გარბის. ყველაფერი ძალიან სწრაფად ძველდება; ქალაქები, ქუჩები, სახლები, კედლები...

ადამიანებიც ძველდებიან. ალბათ უფრო სწორია ვთქვათ, ბერდებიანო, მაგრამ ფაქტი ერთია, დროს ვერაფერი უძლებს.

ძველი დრო, ძველი ადგილები, ძველი ადამიანები...

და მხოლოდ ერთი სახეა, რომელიც ჩემს მეხსიერებას უბერებლად შემორჩა.

დიახ, მოვხუცდი უკვე. ისეთი აღარ ვარ, როგორიც გახსოვარ. ამიტომაა, რომ გულმავიწყი გავხდი, მუხლები მიკანკალებს, თმები მცვივა...

ხშრად მარტო ყოფნა რომ მირჩევნია, ესეც ამის გამოა.

ოკეანის შუაგულში დარჩენილი პატარა ნავს არ გავს ცხოვრება. თუმცა მე ყველგან შენ დაგეძებ...

ვინ ჩათვლის, რომ სიცოცხლე მხოლოდ უიმედო ლოდინია?

თუ მონატრება ესაა, რა მწარე რამ ყოფილა, ღმერთო?!

სიზმრები, რომლებიც ყველაზე ბნელ ღამეებს რთავს...

იმედი, რომელიც ფეხზე დგომას შემაძ-
ლებინებს...

ჩემი ნაღველი...

განა გინახავთ ჩემი სიზმრების ფერია?

თუ გინახავთ, თქვით, რომ სალოცავი
ისევ კარს უკანაა, ხოლო კრიალოსანი
ისევ კედელზეა დაკიდული.

წითელყდიანი და ოქროსფერნახატებია-
ნი ყურანიც ისევ იქ დევს, სადაც დატოვე.

შენ რომ მოქსოვე ის ხელთათმანები
დიდი ხანია გაცვდა, ხოლო წინდებს ვეღარ
იცვამსო, უთხარით.

აღარც ხელებზე სცივა და აღარც ფე-
ხები ეყინებაო, უთხარით.

მე იმ სამყაროს ტყვე ვარ, სადაც ვარსკ-
ვლავებს სახელებს ვარქმევდით და ღრუბ-
ლების კონტურებს ვხაზავდით.

ნუთუ ის ღამე დოლბანდივით თეთრი
იყო, როცა ასე ვწვალობდი? ნეტა რამ მო-
მიტანა ესოდენ ნაღველი? ნუთუ ეს შენი
ხელისგულები იყო ჩემს ხელებზე სითბო
რომ დატოვა? ის ჩუჩული რა იყო, ყურებში
რომ მომესმა?

ვეღარ შეგეფარე შენს კალთაში,ვეღარც შენი იავნანა მოვისმინე, ვერ ჩავთვლიმე ტკბილსიზმრიანად. ვერ ჩაგეხუტე მთელი გულით. ვიცოდი, რომ ყველაზე მეტად ყვითელი ფერი გიყვარდა. შენი საყვარელი ხე აკაცია იყო. ახლა ისე ვგრძნობ, თითქოს შენი საყვარელი ხის, აკაციის ტოტებში ვარსებობდე.

ნეტა გავიზარდო, ტანი ავიყარო, იმ მიწაზე ვიხარო, სადაც მასეირნებდი. ნეტა ჩემი ფესვები შენ დაგემსგავსოს. ღრმად გავიდგა მიწაში. ნეტა ცისკრის ვარსკვლავი ვიყო და შენს თვალებში ვიკიაფო. თვალების ყოველი დახამხამებისას მე დამინახო. ნეტა, ქარი ვიყო და შენს ირგვლივ ვიქროლო.

...

წლები ძალიან სწრაფად გადის, ვიცი. ყველაფერი ძალიან სწრაფად ძველდება.

მე შენს თვალებს დავეძებ, მიმქრალი სარკის მიღმა. მე იმ გემოს ვეძებ, სიცოცხლეს სიტკბოს რომ აძლევდა. სუფრაზე, სადაც მუხლჩახრილი ვსხდებოდით ხოლმე.

ვერ ვიძინებ...

ალბათ ამიტომ არ მიყვარს ღამე.

როცა შენ მყავდი ყველაფერი ლამაზი იყო. გული იმედით მქონდა სავსე. შენ რომ მყავდი სხვანაირად ვიცინოდი. როცა შენ მყავდი, სულ პატარა რაღაცაებიც მაბედნიერებდა. შენი ერთი ღიმილიც კი ახალი სიცოცხლის დასაწყისი იყო.

ღამის სურნელება შემომეხვია.

მე ხომ სიცოცხლე აკაციის ხეებით შემორტყმული ბაღნარი მეგონა. ვერ კი ვხვდებოდი რატომ ხმებოდა ხეები, რატომ ჭკნებოდა ყვავილები, რატომ ჩადიოდა მზე. არც ის ვიცოდი, რატომ იყო ჩემი ბაღი ამოდენა. ან ცა რატომ იყო ასე უკიდეგანო. მე ვერაფერს ვხდებოდი, სანამ უშენობა არ გამოვცადე.

დრო ისევ მიედინება აკაციის ტოტებს შორის. შემდეგ ფოთლებს ედება და ირგვლივ იფანტება.

მახსოვს, როგორ კიტხულობდი ყურანს. მერე ნამაზი მახსოვს, დიდხანს, დიდხანს რომ ლოცულობდი.

როგორ ბედნიერად ვიძინებდი ამ დროს. შენ ჩემთვის ევედრებოდი, ჩემი ძმებისთვის, მამისთვის, ყველა ადამიანისთვის...

მენატრება შენი ხელები, სხეულზე რომ მაფარებდი.

შენი ვედრება მენატრება, სახლიდან ყოველი გასვლისას რომ მესმოდა.

ნეტა ღრუბელი ვყოფილიყავი. არ მოგშორდებოდი.

ნეტა სუნთქვა ვყოფილიყავი და შენს ხმას შევრეოდი.

ვარდი ვყოფილიყავი, ყვავილი... დაგეყნოსე, შენთვის გავშლილიყავი.

შენი სახელით დაწყებული ლექსები მახსენდება და ჩუმად ვჩურჩულებ.

სულის ცაზე ვარსკვლავები ინთება.

წვიმა მაწვიმს წვეთ-წვეთობით.

ეს შენ ხარ, წვიმასთან ერთად მოსული. ეს შენ ხარ ვარსკვლავებთან ერთად რომ ანათებ.

ყოველ ღამე უშენობა აწერია ჩემს სახეს.

ეს შენ ამოდიხარ მზესთან ერთად და ასევე მასთან ერთად ჩადიხარ.

გადახრუკულ მინდვრებში ყვავილებს დავრგავ. ჩემი ვარდები თავს არ ხრიან. ქარიც კი შენს სახელს ჩურჩლებს.

მინდა, კიდევ ერთხელ დამიძახო „შვილო“ და გული ისევ ამიფორიაქო.

მინდა ჩემს ფიქრებს, ოცნებებს, იმედებსა და მწუხარებას ისევ ეხებოდე.

მინდა ჩემს მარტოობაზეც მოქმედებდე.

მოდი, რომ აღარ ვიტირო...

...

ერთ დღესაც ყველა ამ შიშს, მღელვარებას და ტკივილებს უკან მოვიტოვებ.

ყველა ტკივილისგან შორს წავალ.

წავალ იმ ადგილიდან, სადაც მზე ჩადის.

იქ წავალ, სადაც მზე ამოდის.

მე ჩემს ბავშვობას, ახალგაზრდობას, სიხარულსა და მონატრებას წავიღებ თან.

ამ ყველაფერს გულში ჩავტევ და შენთან მოვალ, ხელს გამოგიწოდებ.

„დედა, მე მოვედი“ - გეტყვი.

...

დედა- ადამიანებზე
მზრუნველი ძვირფასი ხელი

დოქ. ომერ მენექშე

მიწა თესლის დედაა, წყარო კი- ნაკადულისა.

ევა კაცობრიობის დედა იყო, მარიამი -სულის;

ამინე ჭეშმარიტების, არსებობის საიდუმლოს მშობელი იყო.

სწორედ დედაა ამაგის, თავგანწირვის და უანგარო სიყვარულის სიმბოლო.

დედა ყურანის აიათებშიც შექებულია. შუამავალი კი დედას მაღალ საფეხურზე აყენებს.

დედის ვედრება მიღებულია. სწორედ დედაა ის ადამიანი, ვისი კმაყოფილებაც სამოთხეს გვაახლოებს.

სწორედ დედაა ის ადამიანი, რომელსაც ჩვენი სარწმუნოება განსაკუთრებულ სა-

ფეხურზე აყენებს და ყველაზე სანუკვარ ადგილს, სამოთხეს მის ფერხთით ფენს.

სწორედ დედაა ის ადამიანი, რომლის მიმართ გაკეთებული სიკეთე, დროულად ნალოცი ნამაზის შემდეგ, ყველაზე სასურველ ქმედებადაა მიჩნეული. ამ გზით ღმერთის კმაყოფილების მოპოვებაა შესაძლებელი და ეს არის ერთ-ერთი გზა სამოთხეში შესასვლელად.

ის არის მშობელი ადამიანისა. სწორედ მასში ნაყოფიერდება პირველი უჯრედი.

შვილი დედის სხეულის ნაწილია. შვილის ყოველი ნაბიჯი და ყოველი პრობლემა დედისთვის წარმოუდგენლად მტკივნეულია. ყოველი განშორება დიდ ტკივილს აყენებს მას.

ბავშვის ზრდა და განითარება, სწავლის პერიოდი, სამხედრო სამსახური, ყველა ეს პერიოდი დედისთვის დაუსრულებელი დარდისა და მღელვარების წლებია. ყოველი ფეხის წამოკვრისას დედა უზომო ცრემლს ღვრის. ზოგჯერ ნუგეშს პოულობს და ცრემლებს იმშრალებს, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ცრემლმა დაახრჩოს. დედა სამშობლოსათვის, ნამუსისა და სიწმინდეებისათვის შეწირულ შვილს ნუგეშით ინელებს და მისით ამაყობს. ტყუ-

ლუბრალოდ თუ მოკვდება, მაშინ კი საერთოდ განუზომელი და უნუგეშოა დედის ტკივილი.

დედაა ის ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ნალოლიავებ, ნაზარდ და სანუკვარ შვილს სამშობლოს დასაცავად გაგზავნის.

ვინ იცის, ღამის წყვდიადსა და სიცივეში რამდენჯერ მოგვდომებია მის კალთაში შეფარება.

დედა თანაგრძნობისა და ამაგის სიმბოლოა. რას არ გაუძლებს, რას აღარ გადაიტანს და შვილს არ აგრძნობინებს, რომ უჭირს.

არის დედა, რომელიც თავის შვილს ღვთის გზაზე შეწირავს.

არის დედა, რომელიც ცამდე ამაღლდება.

არის დედა, რომლის სახელიც თქმულებებში არ ეტევა და ადამიანთა გულებს დაიპყრობს.

არის დედა, რომელიც სიმშვიდეს მხოლოდ მაშინ პოულობს, როცა გასცემს, შვილისთვის ყველაფერს უძლებს და თავდაუზოგავად იბრძვის.

არის დედა, რომლის სახეზეც თითოეული ნაოჭი მის ტანჯვასა და ამაგს აღწერს.

არის დედა, რამდენი რამ გადააქვს. რამდენ წლებს ითმენს და წასულ შვილს ელოდება. მისი გულის ყოველი კუნჭული შვილის მონატრებითაა სავსე. მისი თვალები გადამფრენ ფრინველებს მიჩერებია, თითქოს შვილთან რამის დაბარება სურსო. დღესასწაულებს ელოდება, რომ შვილმა მოინახულოს და გულში ჩაიკრას. დღეებს ითვლის და ამ იმედით არსებობს.

არის შვილი, რომელსაც დედა საერთოდ არ უნახავს, არ შეხებია, მის კალთაში თავი არ შეუფარებია, არ ახსოვს და არ იცის, რა არის დედის სიყვარული. ის მუდმივად ამ დანაკლისს გრძნობს. უდედობას განიცდის. ნეტა, დედა ცოცხალი მყავდეს, დარდს გავუზიარებდი, გულში ჩავიკრავდი, მის ხმას გავიგონებდი, მისგან ნათქვამ სიტყვას „შვილო“.

არის ბავშვი, რომელსაც არცერთი მშობელი აღარ ჰყავს. თვალები სასოწარკვეთითა და უიმედობით სავსე. ცხოვრებას ასე ებრძვის. მცირე ყურადღებას, ხელის გაწოდებას დანატრებულია.

არის ბავშვი, რომელსაც სიცილი დავიწყებია. რომც გაიცინოს მის სახეზე ხა-

ლისი არ იკვეთება, თვალები არ უბრწყინ-
დება, ღიმილი შეყინული აქვსო, თითქოს.

არის ბავშვი, რომელიც კუთხეში იმის
გამო ტირის, რომ დედა არ ყავს და ყვა-
ვილებს ვერ მიუტანს, ის კი შუბლზე ვერ
აკოცებს.

ჩვენ ვიცით, რომ პირველ სიყვარულს
და თანაგრძნობას დედისგან ვსწავლობთ,
მას კი ამ უნარს ღმერთი ანიჭებს.

ღმერთო, მიუტევე ჩვენს დედებს. ჩვენი
ძვირფასი დედების გამო ჩვენც მოგვიტევე.

ღმერთო მიიღე ჩვენი ვედრება.

muslimgeorgia
muslim georgia foundation
international charity

დედა

მელთემ ერთურქ აბიქ

ის დედაა.

მასში ღვთიური შემწყნარებლობის ანარეკლია გამოხატული. როგორც ყველა დედას, მასაც თავისი შვილის გულისათვის სიცოცხლის დათმობა შეუძლია. ის არის უანგარობის გამოხატულება და არასოდეს ითხოვს სიკეთისთვის სამაგიეროს.

ის დედაა;

ბავშვთან ბავშვი ხდება და მასთან თამაშის დრო ს მასზე უფრო მეტად ერთობა. როდესაც შვილის ტანსაცმელს კემსავს ყველაზე ბედნიერია ამ დროს.

ის დედაა;

ის გზას ასწავლის შვილს,არიგებს. მის მიერ დათესილი განათლების მარცვლები მთელი ცხოვრება განაგრძობს ზრდასა და განვითარებას.

ის არის პირველი მასწავლებელი. პირველი, ვინც რწმენა შეაყვარა და ღმერთის სახელი ასწავლა. პირველად დედა ასწავლის შვილს ზნეობრივ ნორმებს.

ის დედაა;

ყოველთვის სახემღიმარი შვილს დარიგებებს აძლევს. მისი ყოველი მოქმედება და სიტყვა შვილის საკეთილდღეოდაა. ის ბავშვობაშიც ზრუნავს შვილზე და დიდობაშიც.

ის დედაა;

ის ყველაზე უკეთ ასწავლის შვილს,როგორ იყოს მორწმუნე. ის, როგორც აღმზრდელი საუკეთესო ფორმით ასწავლის შვილს ღვთის კანონებსა და ისე მოქცევას, როგორც მორწმუნეს შეეფერება. მაგალითად, როდესაც შვილი რამეს დააშავებს, სანამ არ ინანებს და არ გამოასწორებს მანამდე დედა ვერ ისვენებს და საამისოდ მუდმივად გზას აძლევს. ეს კარგი გაკვეთილია,რათა ადამიანმა შეცდომის მონანიებას და გამოსწორებას მიეჩვიოს.

ის შვილს ასე პატიებით ასწავლის მიმტევებლობას. ასწავლის, რომ სიკეთის წინაშე მადლობელი უნდა იყოს და ღვთისადმი მადლიერება გამოხატოს.

ის დედაა;

დედა ასწავლის შვილს, რომ ყველა დედა განსაკუთრებული სიყვარულის მატარებელია. ყველაზე ველური და სასტიკი ცხოველიც კი როცა დედაა, შვილის მიმართ განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით გამოირჩევა. მისი ეშვები შვილთან ურთიერთობისას აღარ არის მჭრელი.

ის დედაა;

როგორც დედა არასოდეს ისურვებს შვილი ცეცხლში ჩააგდოს, ისე ღმერთსაც არ სურს საკუთარი გაჩენილების წამება. დედა თავისი ქმედებებით ამას გვასწავლის.

ის დედაა;

შუაღამისას შვილის ტირილზე იღვიძებს და სიყვარულით ეფერება. შვილის სურვილებს უყოყმანოდ ასრულებს და მხოლოდ მასზე ფიქრობს.

ის დედაა;

ადამიანი, რომელიც ყოველთვის შვილისთვის ლოცულობს და ღმერთს ავედრებს. შვილმაც უნდა შეავედროს დედა.

ის დედაა;

მისი უფლებები ღვთის კანონებითაა დაცული.

ის დედაა;

მისი საშუალებით შესაძლებელია ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების მოპოვება. საიქიოს მოსაპოვებლად დედა აუწონავი განძია. ამქვეყნიური ბედნიერებისთვისაც დედას დიდი როლი აქვს. მისი ლოცვა-ვედრება სიკეთისა და ბედნიერების გასაღებია.

ის დედაა;

კეთილგანწყობის საუკეთესო გამოხატულება. ის უანგაროდ ესიამტკბილება შვილს და საპასუხო სიკეთეზე არ ფიქრობს.

ის დედაა;

მას შეუძლია შვილის სიცოცხლისთვის საკუთარი სიცოცხლე გაწიროს. ის არის ოჯახში ბარაქისა და სიუხვის დედაბოძი. მის გამო შედის ოჯახში წყალობა და მისი ვედრებით შორდება ოჯახს უბედურება.

ის დედაა;

ის არის ჩვენი თვალის სინათლე, ჩვენი გვიგრგვინი, გულის მალამო, ყველა ჭრილობის დამაამებელი, დარდები განმაქარვებელი, საქმის შემამსუბუქებელი, ყველა ქმედების გზამკვლევი, მავედრებელი, მანუგეშებელი და სახელოვანი შვილების აღმზრდელი.

ის დედაა.

მისი შვილის ყოველი სასიკეთო ქმედება მისი ცხოვრების წიგნში იწერება. მისი შვილის ვედრება საფლავს გაუნათებს. კარგი შვილის ყოლისათვის მისი სიკეთე არ წყდება.

muslim georgia
muslim georgia international charity foundation

შენ რომ მოხვალ სიკოცხლე გახანგრძლივდება

აიშე ნურ ჩალიქჩი

...და ჩვენც მოგიხმეთ ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში.

და გელოდით იმედი გადაწურული რომ გვეგონა იმ დღემდე. ჩვენ შენს ღიმილს, შენს ცრემლებს ველოდით. ჩვენ შენს სიყვარულს ველოდით. ჩვენ უმეტესად შენს სიხარულს ველოდით.

შენზე ასეთი მოჯაჭვა შეცდომა იყო? თუ შენით ცხოვრებაზე მიჯაჭვა? შენ ჩვენი ფიქრების სიხალისე იყავი. ეს შენ იყავი ჩუმი იმედების დაუსრულებელი ვედრება. შენი დრო ჯერ კიდევ არ იყო მოსული. შენი სახელი იმ დასაწყისს დავარქვით, რომლის შემდეგაც ხელიდან ხელზე, გულიდან გულში გზას ვპოულობდით. ჩვენს ახალ ოცნებებშიც შენ იყავი.რა ლამაზი ღიმილი გქონდა. შენთვის გამოყოფილ ოცნებებს მეტს ნუ ალოდინებ. დაბრუნდი, თუ გესმის ჩვენი გულის ხმა. ჩვენს უნუგეშობას თუ მალამოდ მოედები, მოდი.

ჩვენ ძალიან გაგვიძნელდა ამ ლოდინში მოგზაურობა. ყველაზე მეტად ჩვენ გავხარჯეთ გამოსავლის გზები. შემდეგ სასოწარკვეთილთა თავშესაფარს შევეხიზნეთ. ჩვენი ამბავი ისევ იქიდან გაგრძელდა, სადაც შევჩერდით. ამ ამბის დასაწყისიც და დასასრულიც შენ გიკავშირდება. შენ სიყვარული ხარ. ყველაზე დიდი ამაგი ხარ.

ჩვენ შენს მოსვლას დაველოდებით. ჩვენი შენი მოსვლით გავმრავლდებით. აღფრთოვანებულები მივაჩერდებით შენს ღიმილს. როდესაც ჩვენი ამოცნობის მიზნით თვალებში შემოგვხედავ,თვალს არ აგარიდებთ. გვერდიდად არ მოგშორდებით,რათა შეცივებული გრძნობები გაგითბოთ. ჩვენი ფიქრების დასაწყისშიც და დასასრულშიც შენ ხარ. ჩვენს მონატრებას ვედრებით გამოვხატავთ. შენ გზაზე შემდგარი ყველაზე პატარა მგზავრი ხარ და ჩვენ კიდე შენი მომლოდინე ორი მარტოსული. შენ ჩვენშ ხარ და შენს სურნელებას ვგრძნობთ. შენი სურნელება კი სამოთხისეულია. ჩვენ ყოველ წამს ვგრძნობთ მაღლა აპყრობილი ხელები როგორ სწვდება ზეცას.

ჩვენში დატოვებული ნაკვალევით მიხვდები უშენობის წლებმა როგორ იმოქმედა. მიხვდები უშენოდ როგორ ძნელად გადიოდა წლები. მოთმინება ყველაზე სანდო თანამგზავრი იყო ჩვენთვის ამ ლოდინში.

შენ რომ თვალს გაახელ, ჩვენი ცხოვრების ფერები შეიცვლება. ჩვენს მონატრებასაც სახელი შეეცვლება. ამდენი ლოდინის შემდეგ ჩვენი იმედები ხელახლა ჰპოვებს სიცოცხლეს.

როგორ მოგვენატრე...რამდენჯერ ვცადეთ შენთვის გვეთქვა, რომ ძალიან მოგვენატრე. ჩვენ ჯერ კიდევ შენ გელოდებით. ვარდის ბაღნარში ყველაზე ლამაზი ვარდი ხარ. ესეც დიდი ნუგეშია.

და გავიდა დრო. შენი მოსვლით დაინგრა ლოდინის ციხესიმაგრე. ნეტა თვალებზე მოგვეფერო შენი პატარა ხელებით. ნეტა ჩვენი გულის ძგერა გესმოდეს. ჩვენში შენი სიყვარულით გამთბარ გულს ნახავ მხოლოდ. გვინდა გცოდნოდა, რომგორ გველანდებოდა ღამეში შენი ტირილი და შეშინებული როგორ ვიღვიძებდით. ჩვენი კალთა ისევ უშენობის გამოა ასე ცარიელი. ამდენ ლოდინში, ამდენ მოთმინებაში მხოლოდ შენი მოსვლის სიხარული გვაძლებინებდა. იმედით ვცოცხლობდით.

გვენატრები. ყველაზე მეტად კი ის გვენატრება, როდის დაგვიძახებ დედას და მამას.

დედა და შვილი

ფელინ ფექტაში

ბავშვი მოევლინა დედამიწას. ის უკიდურესად უმწეო იყო. ბუნებრივია ძალიან პატარა იყო, ვერ დადიოდა, ვერ ლაპარაკობდა და რძის გარდა ვერაფრით იკვებებოდა. შემდეგ ის ჩვილისთვის ყველაზე სასურველმა ადამიანმა კალთაში ჩაისვა, მოეფერა, გამოკვება...

დედა სიხარულისგან ტიროდა. შეეშინდა ცრემლი ჩვილს არ დაეცეს და არ შეწუხდესო. დედობა ასეთი რამ ყოფილაო, თქვა. ამ დროს ადამიანს სხეულის ყველა უჯრდი სიყვარულის გრძნობით ევსება. შემდეგ საკუთარი დედა გაახსენდა.

„ნეტა ეს მართლა ჩემი შვილია“?- ახლა ეს კითხვა შეუჩნდა. სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა, მხოლოდ ეს კითხვა უტრიალებდა აფორიაქებულ გონებაში. რამდენი ხანია დილამდე ვერ იძინებდა.

დედებისთვის ნაცნობი იქნება ეს ყველაფერი, რასაც ახლა კითხულობ. ასეა, უფრო მეტიც კი, იტყვიან ალბათ. დედის გრძნობების გამოსახატავად, რომელმაც შვილი აიყვანა ხელში, სიტყვები უძლურია. განა რა სიტყვით უნდა გამოიხატოს ესოდენ დიდი გრძნობა?!

შუამავალმა ხომ ბრძანა: „სამოთხე დედის ფერხთითაა“. რაოდენ დიდი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში.

ამქვეყნად ყველაზე დიდი მისაღწევი საზრუნავი და მიზანი ღმერთის კმაყოფილების მოპოვებაა, რაც სამოთხეში წასვლის წინაპირობაა. ამ ყველაფრის დედის კმაყოფილებაზე დამოკიდებულება რაოდენ დიდი რამაა.

დედა, ეს არის ადამიანი, რომელსაც ღმერთმა უბოძა წყალობა ადამიანთა დედამიწაზე მოვლინების „საშუალება“ ყოფილიყო. მისი მხოლოდ ეს ფუნქცია რაოდენ დიდი და დასაფასებელია. ესოდენ დიდი მოვალეობის გამო, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულია დედა. რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის დაბადება და ზოგადად ადამიანთა მოდგმის გამრავლება, სულ მცირე ისეთივე მნიშვნელოვანია დედის როლი.

დედა სიყვარულს, სითბოს, მზრუნველობას ნიშნავს. ეს არის უდიდესი თავგანწირვის მაგალითი. წარმოვიდგინოთ, უმწეო ქათამსაც კი, როცა ის დედაა, წიწილების დასაცავად, მათ მოსატაცებლად მოსულ მელიაზე შებმა შეუძლია.

დედას შვილი ყველაზე მეტად უყვარს. დედა სიყვარულის ცენტრია. სიყვარულს მისგან ვსწავლობთ.

მზეს კითხეს პლანეტებს როგორ აკავებ, რომ მუდმივად შენს ირგვლივ ტრიალებენო. მან კი უპასუხა, მე საკუთარი დერძის გარშემო უფრო სწრაფად ვტრიალებ და ამიტომო. დედებიც ასე არიან. ისინი მუდმივად მოძრაობაში არიან. ოჯახში ყველას საჭიროებაზე ისინი ზრუნავენ და ყველანი მასზე არიან დამოკიდებული.

დედის ფიქრი მხოლოდ ისაა, რომ შვილები ყოველთვის კარგად ჰყავდეს. ამისთვის ზრუნავს და ამისთვის ყველა განსაცდელს შეებმება.

თუ ოჯახს ორგანიზმს შევადარებთ, დედა ამ ორგანიზმის გულია. ის აცოცხლებს მთელ ორგანიზმს.

დედა და შვილი ერთიმეორის განუყოფელი ნაწილებია. ზოგჯერ სხეულებით

სხვადასხვა ადგილას არიან, მაგრამ მათი გულები ერთმანეთს არ შორდება.

ასეთია დედაშვილობა. ეს არის ღმერთის ფასდაუდებელი წყალობა, დედაშვილური სიყვარული. მისი აღწერა, გაზომვა ან შეფასება შეუძლებელია.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

როცა დედა გახდები, მიხვდები

დილშად აქთაშ

გარდატეხის ასაკში ხშირად ვფიქრობთ, რომ დედის ნერვიულობა და შფოთვა უადგილო და გადაჭარბებულია. მაშინ ვერაფრით ვხვდებით ამდენი სანერვიულო რა არის. ასეთ დროს როგორც წესი დედა განსაკუთრებული თავდაჯერებულობით გვეუბნება, დედა გახდები და მიხვდებიო. მაშინ ამ სიტყვებისაც არ გვჯეროდა ბოლომდე. დედობამ ადამიანი ასე როგორ უნდა შეცვალოს? ნეტა სხვა არსებას საკუთარ თავზე მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს? სხვისთვის სრულიად უანგაროდ ასეთი თავგამოდებით ზრუნვა როგორ შეუძლია?

ამ ყველაფერს ადამიანი მხოლოდ მაშინ გაიგებს, როცა თავად გახდება დედა. დედები, როგორც ყოველთვის მართალი გამოდგნენ. უცებ აღმოაჩენ, რომ შენც, როგორც დედას, მისი მსგავსი ან უფრო მეტი რეაქცია გექნება შვილის რომელიმე

საქციელზე. ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყება, ვიდრე შვილს ხელში აიყვანთ. როგორც კი იგრძნობ, რომ შენში პატარა გული აძგერდა, მაშინვე სხვაგვარად დაიწყებ ფიქრს. მერე უცებ აღმოაჩენ, რომ გზის გადაკვეთისას ჩვეულებრივთან შედარებით უფრო ფრთხილი ხდები, მრავალგზის გადაამოწმებ რამდენად უსაფრთხოა, რომ გაიარო. თითქოს ადრე ასე არ ნაღვლობდი საფრთხეს, თითქოს ადრე რომ მანქანა დაგჯახებოდა ასე არ გეტკინებოდა...

ეს სულ სხვა მდგომარეობაა. აქ იმდენად დიდია საკუთარი სხეულის ნაწილის მიმართ სიყვარული და პასუხიმგებლობა, რომ საკუთარი სიცოცხლე მეორე პლანზეა გადაწეული.

დედის ხსენებაზე, უპირველეს ყოვლისა გვახსენდება სიყვარული და ამ სიყვარულისგან გამომდინარე უანგარო მზრუნველობა. მართლაც დედის ამაგი აუწონავი და შეუფასებელია. ორსულად მყოფი დედა შვილის ჯანმრთელობაზე იწყებს ფიქრს და ცდილობს ჯანსაღად იკვებოს. ამ დროს ის მავნე ჩვევებსაც ივიწყებს, რათა შვილის ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნას. ქალი, რომელიც სიგარეტს ვერაფრით ანებებს თავს, შეუძლია ორსულობის დროს დაანებოს. ზედმეტი კოფეინი რომ არ მიიღოს დედა ორსულობის დროს ყა-

ვის სმასაც ზღუდავს. ამ ყველაფერს ჯერ კიდევ მაშინ აკეთებს, როცა ჯერ შვილი არ გასჩენია, ხელში არ აუყვანია, გულში არ ჩაუკრავს. მან ჯერ კიდევ არ იცის როგორი იქნება მისი შვილი. ღმერთი დედას შვილთან ერთად სიყვარულს უსახავს. ეს სიყვარული მუცლად ყოფნის დროს აღმოცენდება, ვითარდება და იზრდება. როგორც კი დედა შვილს ნახავს და ხელში აიყვანს ეს სიყვარული სრულყოფილებას აღწევს და უკვე ნაყოფს იძლევა.

ეს პატარა არსება, რომელსაც ძალიან დიდი მოთხოვნილებები გააჩნია, დედის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას იწყებს. ამ მომენტიდან ერთი წლის წინ ხომ ვერც კი იფიქრებდით მის არესბობას. უძილო ღამეები, ტირილი, ზრუნვა, შფოთვა, მერე უცებ ნახავ, რომ უკვე იღიმება, იცინის. ამ დროს ყველა ის წვალება უმალ გავიწყდება. მერე ისევ პრობლემები, სიცხიანობა, საავადმყოფო, წამლები, ნერვიულობა... მერე ნახავ, რომ დედა დაგიძახა და ყველაფერი გავიწყდება. შემდეგ უმადობა, სხვადასხვა ხერხებით რომ ცდილობ შენი მომზადებული საჭმელი როგორმე აჭამო, არეული ოთახები, მიმობნეული სათამაშოები, ისევ ნერვიულობა და შფოთვა, მაგრამ ერთს გაკოცებს და უმალ ყველაფერი გავიწყდება. შემდეგ სკოლაში მისვლა, დაგვიანე-

ბები, გზაში საფრთხის შიში, დავალებები, ნიშნები, მიმოღრეცილი ასოებით პირველი სიტყვების დაწერა. გაგრძელდება სკოლის შემდეგი წლები, შფოთიანი, დარდით სავსე, სადაა, ვისთან მეგობრობს, რაიმე მავნე ჩვევა არ შეიძინოს და ა.შ. შემდეგ სკოლას დაამთავრებს, უნივერსიტეტს, დასაქმდება, დაოჯახდება, შვილიშვილს გაჩუქებს და იმ შვილიშვილის დანახვაზე ყველა გამოვლილი ჯაფა უმალ გავიწყდება. ესაა დედობა, მთელი ცხოვრების მანძილზე წარმოუდგენელი ჯაფა და მცრედით მოტანილი უდიდესი ბედნიერება.

ღმერთმა დედობრივი გრძნობა არამარტო ადამიანს, არამედ ყველა ცოცხალ არსებას აუწყალობა და ამ გზით უზადო წონასწორობა შექმნა. ცხოველებიც და მცენარეებიც შთამომავლობის გადარჩენისთვის წარმოუდგენელ რამეს აკეთებენ. მაგალითად პატარა რომელიმე ფრინველი ავიღოთ. ის სიცოცხლის ფასად იცავს ბარტყებს და ბუდეში კვებავს სანამ არ დაფრთიანდებიან. ყველა ცხოველი ასეა. მაგალითად ბაბუინები აგრესიულობით არიან ცნობილი. ამ ველურ არსებებს თუ დავაკვირდებით სამყაროს საოცრებას დავინახავთ. შვილმკვდარი ბაუბუნი დედის ქცევა ენით აღუწერელია. დედა ბაბუინი ვერ ეგუება შვილის სიკვდილს და გარკვეული ხანი ისევ დაატარებს. შემდეგ მკვდა-

რი შვილის სხეული გახრწნას იწყებს, მაგრამ დედა მაინც აგრძელებს მის ტარებას, ისევ ეფერება და ბეწვებს უსუფთავებს. წარმოიდგინეთ ამ ველურმა არსებამ შვილის მიმართ როგორი სიყვარული იცის.

რა თქმა უნდა ვერც მცენარე მიიღებდა დამოუკიდებლად მსგავს გადაწყვეტილებას თუ როგორ მოქცეულიყო და ვერს ჩიტი ჩაიგდებდა სიცოცხლეს საფრთხეში შვილების დასაცავად. ეს ყველაფერი ღმერთის ნება და მისი სიბრძნეა.

და კიდევ, დედების შვილებისადმი სიყვარული და მზრუნველობა რომ ერთად შევკრიბოთ და ღმერთის სიყვარულსა და შემწყნარებლობას შევადაროთ, რასაც ის გაჩენილების მიმართ იჩენს, ზღვაში წვეთის მსგავსიც არ იქნება. ღმერთო ნუ დაავიწყებ დედებს დედობას და შვილებს კიდე შვილობას.

ღედის გული

ჰალისე ჩიფთჩი

ოთახში ყველაფერი წესრიგში იყო; ყველა ნივთი თავის ადგილზე, მაგიდას ლამაზი გადასაფარებელი ეფარა, ჭიქები კარადაში იყო დალაგებული და იატაკზე მდიდრული ხალიჩა ეფინა. ეს ხალიჩა დედამ დააგო. შემდეგ ამ ხალიჩაზე ნაფეხურების კვალი დაეტყო. ჩუსტები გაიხადა და დედის ნაკვალევზე დააბიჯა. დედას დაუდგამს ფეხი, მისი კვალია...

თავის ახალ სახლში იყო. აქ ყველაფერი ახალი იყო. დივნები, სავარძლები, მაგიდები, ყველაფერი სულ ახალთახალი იყო. სახლში მხოლოდ კბილის ჯაგრისი არ იყო. კარებში გასვლისას ხელის ჩანთა შენიშნა და აიღო.

ბავშვობიდანვე შენიშნა, რომ ყველა სახლს თავისი დამახასიათებელი სუნი ჰქონდა. ყოველ სახლში, სადაც შედიოდა ამ სუნს ეძებდა და შედარებას აკეთებ-

და. მისი სახლის სუნიც კი ახალი იყო. აქ ჯერ კიდევ არ შერეოდა ერთმანეთს საპნის, სუნამოს, ხახვის, ადამიანების და სხვა რამეების სუნი. ეს ჯერ კიდევ არ იყო სახლის სუნი. აქ მხოლოდ ახალი ავეჯის სუნი იდგა.

ხშირად შეუნიშნავს, რომ გული და გონება უმეტესად ცალკ-ცალკე დადიოდნენ. გული სულ თავის ნებაზე დადიოდა, მერე გზა ერეოდა და დაბნეული ატირდებოდა ხოლმე. ამას განიცდიდა და ვერავის აგებინებდა. ახლაც ასე მოხდა. ყველა ეუბნებოდა, რომ მისი ქალიშვილი უკვე დიდია, მან ცალკე უნდა იცხოვროს, ის ასე უფრო ბედნიერი იქნება, ამას უნდა შეეგუო და ეს უნდა იკმაროო.

თუმცა არავინ ეუბნებოდა იმას, თუ როგორ უნდა შეგუბოდა ამ ამბავს. როცა დილას წლების განმავლობაში როგორი სიფრთხილითა და სიყვარულით აღვიძებდა შვილს, როგორ გრძნობდა მის სუნს, საღამოობით როგორ ელოდა მის მოსვლას...

ან მათი საუბრები, როცა ერთად ჭურჭელს რეცხავდნენ...

როგორ რიგრიგობით იხურავდნენ ერთ თავსაფარს...

ტელევიზორის ყურებისას თავს რომ მუხლებზე დადებდა და ის კი თმებზე ეფერებოდა...

სტუმრების ლოდინში როგორ ფუსფუსებდნენ ერთად...

მისი სიცილი, მისი მონატრება, მისი არყოფნა...

ეს ვისთვის უნდა აეხსნა?!

აწი სტუმრად მოვიდოდა და ყოველი წასვლისას დედას ისევ უნდა ეტირა. მერე ვერაფრით შეეჩვია ამ წასვლებს. ტელეფონში მისი ხმის გაგონება ცოტათი უქარვებდა დარდს, მაგრამ ძველებურად აღარაფერი იყო. ეს ვისთვის უნდა აეხსნა და ვინ გაუგებდა?!

გონება კი ამბობდა, რომ ეს ასე იყო საჭირო და უნდა შეგუებოდა, მაგრამ გული უმალ პასუხობდა, „მაშინ ეს ცეცხლი რა არის, რომელიც შიგნეულს მიწვავს?“

ეს არავის ესმოდა.

როგორც იქნა გული და გონება ერთად შევკრიბე. იცით ეს როგორ მოვახერხე? ვედრებით. მისთვის ვლოცულობდი, ღმერთს ვავედრებდი და მაშინ გული და

გონება ერთ აზრზე იყო. ღმერთს კიდევ ვევედრებოდი შეენდო ჩემთვის ესოდენი შფოთვა,რადგან დედის გული მან უწყოდა და მისი ჩვენდამი სიყვარული და შემყნარებლობა უსაზღვროა.

ალბათ ესეც დედის გულის ერთ-ერთი გამოცდაა. ღმერთო გამიოლე ეს გამოცდა.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

პოეტების ენით დედის სიყვარული

მუსტაფა ოზჩელიქ

დედა არის გვირგვინი
ყველა დარდის წამალი.
შვილი, მოხუციც იყოს,
სჭირდება დედის თვალი.

ჰუსეინ ნაილ ქუბალი

ლექსის მუდმივი ეფექტი

ადამიანი ყველაზე წრფელ და ძლიერ გრძნობებს ლექსით გადმოსცემს, ამიტომ ქალი, როგორც მეუღლე და როგორც დედა პოეტების მუდმივი მუზაა. საბოლოო ჯამში ყველა ლექსის მოტივი ქალს უკავშირდება და ლექსში აღწერილი სიყვარული, მონატრება, გმირობა, თავგანწირვა და მსგავსი გრძნობები ქალის ფენომენის ირგვლივაა შეკრებილი. სამშობლო, დედასამშობლო, ასეთი ტერიმინმიც კი დედასთანაა დაკავშირებული.

ამ მიმართულებით პოეზიის განხილვას ძალზედ დიდი დრო დაჭირდება, აქ კი შეზღუდული არეალი გვაქვს, ამიტომ მხოლოდ დედაზე ვისაუბრებთ.

ლექსები დედაზე

ჩვენი პოეზიის უძველესი ნიმუშები ზეპირსიტყვიერების პერიოდის ლექსებია, რომლებიც ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა. ან ტიპის ლექსებში ქალი წარმოდგენილი იყო, როგორც დედა და როგორც მეუღლე. ქალი ორივე შემთხვევაში ხოტბაშესხმული და განდიდებული იყო. ამ ლექსებში ქალი სიყვარულის, პატივისცემის, დაფასების და ქების ღირსად იყო წარმოდგენილი.

ამ ლექსებში დედა სიყვარულისა და მზრუნველობის განსახიერებად გვევლინება. პირველ თურქ ოეტად ცნობილი აპრინჯირ თიგინი თავის ერთ-ერთ ლექსში წერს:

შენ ქებათა ქების ღირსი ხარ დედა

მე უმწეო ვარ, ამდენსდა ვბედავ

ამასთანავე ცნობილი ფაქტია, რომ ისლამის მოვლინებამდე ქალს არანაირი ისეთი დაფასება და სტატუსი არ გააჩნდა, რასაც ადამიანის უფლებები ითვალისწინებს. წარმოიდგინეთ, იმდროინდელი არაბები ახალდაბადებულ ქალიშვილებს ცოცხლად მიწაში მარხავდნენ. აი ასეთ პერიოდში ისლამმა ადამიანთა გონებაში გადატრიალება მოახდინა და ერთ-ერთი უპირველესი ცვლილება სწორედაც რომ ქალთა მიმართ დამოკიდებულება იყო. ისლამმა ქალს ჯერ ადამიანის, მერე მეუღლის და დედის სტატუსი მიანიჭა. შუამავლის ცნობილი ჰადისის თანახმად „სამოთხე დედების ფერხთითაა. ამით ნათელია თუ რა ადგილი უჭირავს ქალს და დედას ისლამში.

ოსმალთა იმპერიამდელ პოეზიაში ქალს ასეთი განსაკუთრებული როლი ეკავა. ყველა ლექსში ქალს, როგორც დედას და როგორც მეუღლეს ადიდებდნენ და ხოტბას ასხამდნენ. შემდეგ წამოვიდა სუფიზმის პერიოდი, როცა პოეზიაში სიყვარული ფიზიკურ ჩარჩოებს გასცდა და სულიერებამდე ავიდა. აქ უკვე ქალი განზოგადდა და ის მხოლოდ მეუღლე ან დედა აღარ იყო.

ხალხურ პოეზიაში ქალს უმღეროდნენ, როგორც საყვარელ არსებას და არა მხოლოდ დედას ან მეუღლეს. თუმცა მაშინაც

ქალი განსაკუთრებულ სიმაღლეზე იყო აყვანილი. მოგვიანებით კი, უკვე მეოცე საუკუნეში პოეზიაში ქალი ისევ, როგორც დედა, ლიდერობდა და ისევ დედის სიყვარულზე, მის მზრუნველობასა და ამაგზე იყო აქცენტი გაკეთებული.

და ბოლოს

თანამედროვე ეპოქაში მცირე, მაგრამ შეიმჩნევა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ზოგადად ქალის მიმართ დამოკიდებულება უარყოფითისკენ იცვლება, თუმცა ქალს, როგორც დედას, ქალიშვილს, ან მეუღლეს ისევ გააჩნია თავისი მნიშვნელოვანი ადგილი. ამგვარი უარყოფითი ტენდენცია მუდმივი არ არის და ფეხს ვერ მოიკიდებს. მითუმეტეს მუსლიმი ხალხისთვის ქალი ყოველთვის დასაფასებელი იქნება და თავისი მნიშვნელობით საზოგადოებაში მაღალ საფეხურს დაიკავებს.